ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49.49222736**
თარიღი:**30/09/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №117

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 21 სექტემბრის N5/52683 , 22 სექტემბრის N5/53158 და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 სექტემბრის 48-482227046 წერილები, რომლებშიც დასმულია საკითხი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის მიზნით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 108-ე მუხლის შესაბამისად:

1. უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართში მითითებული უძრავი ქონებები, ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის მიზნით.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3.განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 30 სექტემბრის №117 განკარგულების
დანართი

№	რაიონი	თემი	სოფელი	ამბულატორია/ მედ. პუნქტი	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის საკადასტრო კოდი
1	წყალტუბო	გეგუთი	გეგუთი	გეგუთი	29.14.37.526
2	წყალტუბო	გვიშტიბი	გვიშტიბი, გუბისწყალი, პირველი წყალტუბო, თერნალი	გვიშტიბი	29.07.32.290
3	წყალტუბო	მუხიანი	ქვედა მესხეთი, მუხიანი, უკანეთი	მუხიანი	29.13.37.234
4	წყალტუბო	ოფურჩხეთი	ოფურჩხეთი, ჯიმასტარო, გუმათი, ჟონეთი, ნამოხვანი	ოფურჩხეთი	29.03.35.215
5	წყალტუბო	დღნორისა/მექვენა	დღნორისა, საჩხეულა, ლეხინდრისთავი, ჭაშლეთი, მექვენა, ვანისჭალა, ქვედა ონჭეიში, ზედა ონჭეიში, დერჩი, ბენთქოულა	მექვენა	29.01.35.288
6	წყალტუბო	დღნორისა/მექვენა	დღნორისა, საჩხეულა, ლეხინდრისთავი, ჭაშლეთი, მექვენა, ვანისჭალა, ქვედა ონჭეიში, ზედა ონჭეიში, დერჩი, ბენთქოულა	დღნორისა	29.02.34.089
7	წყალტუბო	ფარცხანაყანები	ფარცხანაყანები	ფარცხანაყანევი	29.11.36.301

საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი